

თექის ხელოსანი 080364  
პროფესიული სტანდარტი

**I. სფეროს აღწერა**

თექის ხელოსნის სპეციალობა წარმოადგენს ძველი ქართული ტრადიციული რეწვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დარგს. თექის ტექნოლოგიას, ტრანსფორმირებული და განვითარებული სახით, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია თანამედროვე ტექსტილის დიზაინში. იგი მოიცავს ტრადიციული მოთელვის საბაზისო ტექნოლოგიურ მეთოდებსა და ტექნიკურ ხერხებს, რომლებიც ხორციელდება ნატურალური შალის ფთილისა და როგორც ბუნებრივი, ასევე ქიმიური საღებავების გამოყენებით.

**II. დასაქმების სფერო**

თექის ხელოსანი შეიძლება დასაქმდეს შესაბამის საწარმოებში, სამხატვრო სალონებსა და კერძო სახელოსნოებში, ასევე თვითდასაქმების გზით.

**III. საგანმანათლებლო პროგრამა და კვალიფიკაცია**

თექის ხელოსნის პროფესიული განათლება არის ერთსაფეხურიანი - III საფეხური. ამ საფეხურისთვის შემუშავებულია შესაბამისი პროფესიული პროგრამა, რომლის დასრულების შემდეგ სტუდენტს ენიჭება თექის ხელოსნის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია, რაც დასტურდება პროფესიული დიპლომით.

თექის ხელოსნის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მინიმუმ 30 კრედიტს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საერთო დატვირთვა მოიცავს თეორიის და პრაქტიკის კომპონენტს. პრაქტიკის კომპონენტი არის საერთო დატვირთვის არანაკლებ 60%.

**IV. დამატებითი მოთხოვნები**

საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ მასწავლებელს უნდა ჰქონდეს სპეციალობით მუშაობის არანაკლებ სამი წლის გამოცდილება

**V. თექის ხელოსნის პროფესიული კვალიფიკაციის აღმწერი.**  
**თექის ხელოსნის მესამე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი.**

<p><b>ცოდნა და გაცნობიერება</b></p>	<p>აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს</p>	<p>იცის თექის თელვის სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ტექნოლოგიური პროცესებისა და ტექნიკური ხერხების ზოგადი კონცეფციები: მატყლის დახარისხება (თუშური, კავკასიური, მირინოსი), ღებვა - როგორც ქიმიური, ასევე ბუნებრივი საღებავებით. შეღებილი, ფერადი ფთილების საშუალებით, ტრადიციული მეთოდით თექის ქსოვილის დაწყობა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანა, შეუძლია შესაბამის გარემოში, ხელმძღვანელის მითითებით ჰორიზონტალურ სიბრტყეზე თექის ტრადიციული მოტივის გადმოტანა მის მიერ გამზადებულ საწყის ფენაზე- საფუძველზე, მოსათელად საჭირო დამხმარე მასალების მომზადება და მოთელვის პროცესის განხორციელება.</p>
<p><b>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</b></p>	<p>შეუძლია გამოიყენოს დარგის სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრი, შეაფასოს დავალებების შესასრულებლად სხვადასხვა მიდგომები შეარჩიოს და მიუსადაგოს სათანადო მეთოდები, ინსტრუმენტები და მასალები.</p>	<p>შეუძლია გამოიყენოს თექის თელვის სპეციფიკათვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრი. აცნობიერებს თექის თელვის ტექნოლოგიური პროცესების ეტაპობრივი, გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს, კერძოდ: მოცულობითი თექის მოთელვის ტექნოლოგიური პროცესებს, სხვადასხვა ტექნიურ ხერხებს, შეუძლია სხვადასხვა წარმოშობის თექის ნაწარმის მომზადება: შალის ფთილასთან სინთეზში - ნართის, სხვადასხვა ტიპის ქსოვილების შერწყმა სპეციფიური ტექნოლოგიური ნორმების დაცვით, ახალი თექის ქსოვილისა თუ თუ მოცულობითი ფორმების ამოყვანა მატყლის საშუალებით, შეუძლია თავსაბურავების, ჩანთებისა და სხვა მოცულობითი აქსესუარების დამზადება.</p>
<p><b>დასკვნის გაკეთების უნარი</b></p>	<p>შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში წამოჭრილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და ანალიზი.</p>	<p>აქვს გამომუშავებული შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის უნარები. შეუძლია თექის თელვისას წარმოქმნილი ტექნოლოგიური პრობლემების აღმოფხვრა, მასალის სტრუქტურული სხვაობის სწორად შერჩევის გზით, არსებული მითითებული ლიტერატურის დამუშავების და მიღებული გამოცდილების საფუძველზე სწორი დასკვნის გაკეთება.</p>

<b>კომუნიკაციის უნარი</b>	შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე განსხვავებულ სიტუაციებში. ეფექტიანად იყენებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს; შეუძლია უცხო ენის პრაქტიკული გამოყენება.	შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის დამყარება თექის ხელოსნის პროფესიასთან გაკავშირებულ საკითხებზე როგორც დარგის პროფესიონალებთან ასევე არაპროფესიონალებთან. შეუძლია საკომუნიკაციო და საინფორმაციო ტექნოლოგიების მიზანდასახული გამოყენება პროფესიულ საქმიანობაში. სრულყოფილად ფლობს თექის თელვის სპეციფიურ ტერმინოლოგიას მათ შორის უცხო ენაზე.
<b>სწავლის უნარი</b>	შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება	შეუძლია შემდგომ საფეხურზე სწავლის დაგეგმვა აცნობიერებს შემდგომი სწავლის აქტუალობასა და პერსპექტივას.
<b>ღირებულებები</b>	განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედებს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად	გაცნობიერებული აქვს თექის, როგორც ხალხური რეწვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგის ტრადიციის დამკვიდრების აქტუალობა და თავისი პროფესიული საქმიანობით პოპულარიზაციას უწევს მას.